

უშვილობის დიაგნოზის მქონე ქალთა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა,  
ცხოვრებით კმაყოფილება, სტრესის დონე და მისი დაძლევის მექანიზმები

**თეონა დემეტრაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შყერილაძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა დემეტრაშვილი

22.01.2021

## აბსტრაქტი

ბევრი ადამიანი ებრძვის უშვილობის დიაგნოზს, რასაც ისინი ხშირად მიჰყავს მატერიალურ და ემოციურ კრიზისამდე. ჩვენი ქვეყნის კულტურაში ქალებისთვის ორსულობა და დედობა ცხოვრების აუცილებელ ეტაპებად ითვლება, რის გამოც განაყოფიერების წარუმატებელ მცდელობებს განსაკუთრებული გავლენა აქვთ მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. სტრესი და მძიმე ემოციური მდგომარეობა კი ხშირად ხელს უშლის წარმატებულ მკურნალობას. სწორედ ამ მიზეზით, უშვილობის დიაგნოზის მკურნალობის პროცესში უაღრესად რეკომენდირებულია ფსიქოლოგის ჩართულობა.

ჩვენი კვლევის მიზანია განსაზღვროს უშვილობის დიაგნოზის მქონე ქალთა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა, ცხოვრებით კმაყოფილება, სტრესის დონე და მისი დაძლევის მექანიზმები. კვლევაში მონაწილეობას იღებდა 100 ცდის პირი, გამოვიყენეთ კვლევის რაოდენობრივი მეთოდი და მიღებული მონაცემები დავამუშავეთ პროგრამა SPSS-ში.

კვლევის სტატისტიკურად დამუშავებამ გვიჩვენა, რომ უშვილობის დიაგნოზის მქონე ქალებს აქვთ ცხოვრებით კმაყოფილებისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის სკალებში საშუალოზე დაბალი და სტრესის დონის საზომ სკალაში საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი. მოცემულ ცვლადებზე განსაკუთრებული გავლენა აქვს წარუმატებელი ინ ვიტრო განაყოფიერების მცდელობას. მეორეული უშვილობის დიაგნოზის დროს, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისა და ცხოვრებით კმაყოფილების სკალებში ცდის პირებს აქვთ შედარებით მაღალი, ხოლო სტრესის საზომ სკალაში შედარებით დაბალი მაჩვენებელი, ვიდრე პირველადი სახის უშვილობის დიაგნოზის დროს. ასევე, უშვილობის დიაგნოზის მქონე ქალებში, ემოციებზე ორიენტირებული დაძლევის მექანიზმის მქონეთ ჰქონდათ უფრო დაბალი მაჩვენებელი ფსიქოლოგიური

კარგად ყოფნის პიროვნული ზრდისა და საკუთარი თავის მიღების ქვეყნულ კულტურაში, ვიდრე მათ, ვინც იყენებდა პრობლემაზე ორიენტირებულ დაცვის მექანიზმებს.

## **Abstract**

Many people struggle with the diagnosis of infertility, which often leads to material and emotional crisis. In the culture of our country, pregnancy and motherhood are considered as necessary stages in a woman's life, therefore, unsuccessful attempts at fertilization especially affect their psychological state. Stress and severe emotional state often hinder successful treatment. For this reason, the involvement of a psychologist in the treatment of infertility is essential.

The aim of our study was to determine psychological well-being, life satisfaction, stress levels and coping mechanisms of women diagnosed with infertility. The study involved 100 people, we used a quantitative research method and processed the data in the program SPSS.

Statistical processing of the study showed that women diagnosed with infertility had lower than average scores on life satisfaction and psychological well-being scales, and higher scores on the stress scale. Unsuccessful in vitro fertilization attempts had a special impact on these variables. In the diagnosis of secondary infertility, they had relatively high scores on the psychological well-being and life satisfaction scales and relatively lower scores on the stress scale than in the primary diagnosis of infertility. In addition, in women diagnosed with infertility, those with an emotion-focused coping mechanism had lower rates in personal growth and self-acceptance subscales of psychological well-being subscales than those who used problem-oriented coping mechanisms.

## მადლობა

დიდ მადლობას ვუხდით ჩემი თემის ხელმძღვანელს, ასისტენტ-პროფესორ ია შეყრილაძეს, ღირებული უკუკავშირისა და რჩევებისთვის, აგრეთვე ყურადღებისა და მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური რეკომენდაციებისათვის.